# KTL

## კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა


ჩვენს შესახებ ........ 2

სახმელეთო გადაზიდვები ........ 4 - 5

პროექტები ........ 6 - 7

საჰაერო / საზღვაო გადაზიდვები ........ 8

პარტნიორები ........ 9

დამატებითი სერვისები ........ 10 - 11

კონტაქტები ........ 12

# ჩვენს შესახებ

შ.პ.ს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა“ (KTL) საერთაშორისო გადაზიდვებს 2004 წლიდან ანხორციელებს, ჩვენ მყარად ვინარჩუნებთ მოწინავე პოზიციებს ტრანსპორტირების დარგში. 10 წლიანი გამოცდილება და პროფესიონალიზმი ტვირთების დროული და დაცული გადაზიდვის გარანტიაა.

ჩვენი საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ყველა სახის სახმელეთო გადაზიდვები ევროპიდან კავკასიის მიმართულებით და პირიქით. ჩვენი კომპანია წლების განმავლობაში საერთაშორისო სატრანსპორტო ჯგუფ „TL GROUP’’ -ის წევრია, რაც თქვენთვის მაღალხარისხიანი სერვისის მიწოდებაში გვიწყობს ხელს. ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტს კლიენტების ბიზნესის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ სფეროში დაგროვილი გამოცდილების და ‘’KTL’’-ის საიმედოობის წყალობით, დღეს ჩვენს ერთგულ პარტნიორებს კავკასიის უმსხვილესი იმპორტიორი და ექსპორტიორი კომპანიები წარმოადგენენ.

ჩვენ გვაქვს თანამედროვე სტანდარტების ავტო პარკი, რაც საშუალებას გვაძლევს, შემოგთავაზოთ როგორც ყველაზე ოპტიმალური ტარიფი, ასევე საუკეთესო მარშრუტი. ამავდროულად ჩვენი კლიენტები ყოველდღიურად ინფორმირებულნი არიან ტვირთების ადგილმდებარეობის შესახებ.

საწყობები თურქეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ტვირთების სწრაფად და ეფექტურად მართვის საშუალებას გვაძლევს.






KTL

YOUR RELIABLE PARTNER

# სახმელეთო გადაზიდვები

კომპანიის ძირითადი მიმართულებაა ევროპიდან კავკასიის რეგიონში და კავკასიიდან ევროპის მიმართულებით ნებისმიერი სახის ტვირთის გადაზიდვა. მრავალწლიან გამოცდილებასთან ერთად, სერვისების საუკეთესოდ შესრულებაში გვეხმარება საწყობები ნაკრები ტვირთების კონსოლიდირებისათვის: გერმანიაში, იტალიასა და თურქეთში. აგრეთვე კომპანია ფლობს საკუთარ ტრაილერების ავტოპარკს, რაც ტვირთის სწრაფი და ხარისხიანი გადაზიდვის გარანტიას იძლევა.

- 30-35 მანქანა ნაკრები ტვირთებით ევროპიდან - ყოველთვიურად
- 15-20 მანქანა ნაკრები ტვირთებით თურქეთიდან - ყოველთვიურად
- საკუთარი თანამედროვე სტანდარტების ავტოპარკი
- ტემპერატურული ნაკრები ტვირთების გადაზიდვა
- სატრანზიტო პერიოდი 7 დღე ევროპის საწყობებიდან
- სატრანზიტო პერიოდი 2 დღე სტამბულის საწყობიდან
- სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირება (ADR)



## ექსპორტი ევროპაში

საკუთარი ავტოპარკი საშუალებას გვაძლევს შევთავაზოთ ექსპორტიორებს ტვირთების ტრანსპორტირება ამიერკავკასიის ნებისმიერი კუთხიდან ევროპის ნებისმიერი მიმართულებით. ასევე შესაძლებელია დადგენილ ტარიფზე შეთანხმება თბილისიდან გერმანიის საწყობამდე, რაც ექსპორტიორებს FCA პირობის შესრულების შესაძლებლობას აძლევს.

- კვირაში 1 შერეული მანქანის ორგანიზება საექსპორტოდ
- ტემპერატურული რეჟიმის მანქანა
- ნაკრები ტვირთების ექსპორტი
- წინასწარ დადგენილი ტარიფი გერმანიის საწყობამდე

## ამიერკავკასიაში ტრანსპორტირება

ჩვენი მსხვილი კლიენტები არიან სომხური და აზერბაიჯანული კომპანიები. ევროპიდან მათი ტვირთების კონსოლიდირება ხდება თბილისში ჩვენს საბაჟო საწყობში, რის შემდეგაც საკუთარი შიდა მანქანებით გადაიზიდება დანიშნულების ადგილამდე. ეს გვაძლევს საშუალებას ქართულ კომპანიებს შეღავათიან ფასებში შევთავაზოთ ტვირთების ტრანსპორტირება თბილისიდან ბაქოსა და ერევანში და პირიქით.

- თვეში 20 მანქანა თბილისიდან ბაქოსა და ერევნის მიმართულებით
- ნაკრები ტვირთების ტრანსპორტირება
- სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირება (ADR)



# პროექტები

"კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა", "TL Group" - თან ერთად, საქართველოში განხორციელებული მრავალი პროექტის ავტორია. გამოცდილებამ მსოფლიო მასშტაბით განაპირობა ურთულესი გადაზიდვების წარმატებით შესრულება. ჩვენს პორტფოლიოში არის:

- არაგაბარიტული ტვირთების ტრანსპორტირება (მსოფლიოს მასშტაბით)
- მულტიმოდალური ტრანსპორტირება (გემი, საჰაერო, სახმელეთო)
- 50-ზე მეტი მანქანის ორგანიზება ერთდროულად
- ნებისმიერი პროდუქციის და ტექნიკის შესყიდვა ევროპაში (HLB GMBH)
- სრული ლოგისტიკური მომსახურება შესყიდვიდან ინსტალაციამდე.



## პროექტებში მონაწილეობა

შესრულებული პროექტების არასრულ ჩამონათვალში შედის:

- ბათუმის სანაპირო ზოლის გარე განათების პროექტი
- ანაკლიის განვითარების პროექტი
- მესტიის საბაგირო გზის ლოგისტიკური უზრუნველყოფა
- მეტალურგიული ქარხნისთვის საწარმოო ხაზის ტრანსპორტირება
- სოლოლაკის ბიზნეს ცენტრი
- საბავშო გასართობი პარკი "ციცინათელა"
- საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია
- სხვადასხვა სასტუმროების ლოგისტიკური მომსახურება



# საჰაერო / საზღვაო გადაზიდვები

სახმელეთო გადაზიდვებთან ერთად "KTL" გთავაზობთ ასევე საჰაერო და საზღვაო გადაზიდვებს. სანდო პარტნიორების მეშვეობით, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არიან წარმოდგენილნი, ვანხორციელებთ სწრაფ და ხარისხიან გადაზიდვებს, რაც საშუალებას მოგცემთ დაზოგოთ დრო და ისარგებლოთ ექსკლუზიური ტარიფებით.



# პარტნიორები "TL GROUP"

"კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა" დაარსებიდან არის საერთაშორისო სატრანსპორტო ჯგუფის "TL Group"-ის წევრი, რომელთა ოფისები განთავსებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: გერმანიაში, ბელგიაში, რუსეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთსა და ჩინეთში. ჩვენს კომპანიას აქვს სრული წვდომა ამ ჯგუფის წევრების რესურსებთან.

## TL ჯგუფის წევრები:



# დამატებითი სერვისები

## საბაჟო საწყობი

ჩვენი მანქანები იცლებიან ტერმინალ "ლილო 1" -ში, სადაც თქვენი ტვირთები თანამედროვე სტანდარტების მქონე 300 კვ/მ ფართის საბაჟო საწყობში განთავსდება. ტვირთების დროებითი შენახვა განისაზღვრება 5 წლამდე ვადით.

## საკუთარი ავტოპარკი

ტვირთის განბაჟების შემდგომ სურვილის შემთხვევაში თქვენს განკარგულებაშია ჩვენი კომპანიის ორი მანქანა შიდა გადაზიდვებისთვის.

• Mercedes Atego – 2500 კგ ტვირთამწეობითა და 5 გრძივი მეტრი სატვირთო მანძილით

• Volvo FH 12 – 9000 კგ ტვირთამწეობითა და 7 გრძივი მეტრი სატვირთო მანძილით

ორივე მანქანა აღჭურვილია სპეციალური სატვირთო ლიფტით, რაც აადვილებს სატვირთო ოპერაციებს დაცლის მისამართზე.



## პერსონალური დეკლარანტი

„KTL"-ის ერთ-ერთ პრიორიტეტს პარტნიორებთან ინდივიდუალური მიდგომა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ჩვენ გთავაზობთ პერსონალურ დეკლარანტს, რომლის მეშვეობითაც თქვენ ზოგავთ დროს და თანხას. პერსონალური დეკლარანტის სერვისი უზრუნველყოფს:

• გაზარდოთ დღგ-ს გადახდის ვადა 5 - დან 15 დღემდე
• 100 ლარით შეამციროთ გეზ-ის მომსახურების გადასახადი
• გაიმარტივოთ საბაჟო პროცედურები და მნიშვნელოვნად დაზოგოთ დრო

## შესყიდვების სერვისი ევროპაში (HLB GMBH)

ჩვენი პარტნიორი გერმანული კომპანია - "HLB GMBH", გთავაზობთ ნებისმიერი სახის პროდუქციისა და ტექნიკის შერჩევასა თუ შესყიდვას ექსკლუზიური ტარიფებით. მათი პროფილია ახალი და ნახმარი ტექნიკის შეძენა, ნაწილებით სწრაფად მომარაგება, კონსულტაციები ინჟინრებთან ტექნიკურ დეტალებზე და ა.შ. მრავალწლიანმა გამოცდილებამ ამ სფეროში განაპირობა ძლიერი პარტნიორების შეძენა როგორიცაა: CAT; KOMATSU; BOMAG; WIRTGEN; VOGELE; JUNGHEINRICH; CLAAS; NEW HOLLAND და სხვა.



# კონტაქტები

კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა
ოფისი: კახეთის გზატკეცილი / იუმაშევის 1,
0151, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32 ) 2 91 45 08
E-mail: info@ktl-georgia.com
Web: www.ktl-georgia.com

საწყობი: ლილო 1

იუმაშევის ქ. 14, თბილისი
ტელ: +995 32 2 24 30 00
ელ. ფოსტა: info@lilo1.com
ვებ-გვერდი: www.lilo1.com

გერმანიის საკონსოლიდაციო საწყობი:

TLO GmbH
InternationaleSpedition
Hermann-Köhl-Straße 3-5
DE-89160 Dornstadt (Germany)
Phone. +49 (0) 7348 / 2056-0
Fax +49 (0) 7348 / 2056 -209
Contact: tlo@tlo-gmbh.com




იტალიის საკონსოლიდაციო
საწყობი:

Est Company srl
Via Sommacampagna, 22
blocco 9
I-37137 Verona / Italia
Tel: +39(0)457570099
Fax: +39(0)457570081
Email: estcompanyverona@gruppog.it

კავკასიის ტრანსპორტი და
ლოგისტიკა - ბათუმი - ოფისი:

ხულოს ქუჩა #4. მეორე სართული,
ბათუმი, საქართველო,
ტელ/ფაქსი: +995 42 2 27 74 26
მობილური: +995 59 32 32 56
ელ-ფოსტა: batumi@ktl-georgia.com